136
1996

3 1996

ISSN 0132—6015

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ნიანგი

ავს თუ ავი არ ვუწოდო,
კარგს სახელად რა დავარქო?

სატირისა და იუმორის
ჟურნალი

თუ შეიძლება რიგი დაიკავეთ, ყველა ერთად ნუ შემოხ-
ვალთ!

ნახ. ჯ. ლოლუასი, თემა ჟ. სიხარულიძისა

„ამიერიდან ერთ-ერთ უსახელო ვარსკვლავს დაერქმევა აჭარის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარის, **ასლან აბაშიძის,** სახელი. ასეთი გადაწყვეტილება მიიღეს ორგანიზაციაში „კოსმოსი და დედამიწა“, რომელსაც კოსმონავტი გერმანე ტიტოვი ხელმძღვანელობს.

ასლან აბაშიძეს გადაეცა სერთიფიკატი, რომელიც ამ ფაქტს ადასტურებს“.

გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“,
28 აგვისტო, 1996 წ.

„საზღვაო ვაგზლის ყურეში **ასლან აბაშიძემ** კიდევ ერთხელ აჩვენა კატარღის მართვის ვირტუოზული ოსტატობა — რამდენიმე წუთის განმავლობაში, მრავალი მაყურებლის თვალწინ, სარისკო ვირაჟებს ხაზავდა ახალთახალი კატარღით, რომელსაც „აჭარა“ ეწოდება“.

გაზეთი „ლიტერატურული საქართველო“,
27 სექტემბერი, 1996 წ.



მანათობელ კაცს და ვარსკვლავს,
აბაშიძე ასლანს, ვაშა! —

მართლაც ზებრწყინვალედ მართავს
კატარღასაც, აჭარასაც!

ზაურ ბოლქვაძე

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჟურნალ „ნიანგის“ დახურვა

დაუშვებელია!

„ვიცით რა თქვენი დამოკიდებულება იუმორისადმი და პირადად ნოდარ დუმბაძისადმი, რომლის სულისკვეთებაც სამუდამოდ შემორჩა რედაქციას, ვიმედოვნებთ, რომ უყურადღებოდ არ დაგვტოვებთ!“ — ასე მთავრდებოდა ბარათი, რომელიც ბატონ **ედუარდ შევარდნაძეს** მიართვა ჟურნალ „ნიანგის“ რედაქციამ.

„ჟურნალ „ნიანგის“ დახურვა დაუშვებელია!“ — ასეთი ფრაზა ფიგურირებდა პრეზიდენტის მიერ დადებულ რეზოლუციაში, რომლითაც იგი წინადადებას აძლევდა ფინანსთა მინისტრს, ბატონ დავით იაკობიძეს, გამოენახა საშუალება „ნიანგის“ გადასარჩენად.

„ნიანგმა“ საკუთარი ხელით საკუთარ ხელში გადასცა რეზოლუციადადებული ბარათი ბატონ მინისტრს და საკუთარი ხელების კმაყოფილი ფშვნეტით დაბრუნდა რედაქციაში. ბატონმა მინისტრმა „ნება დართო“ გამომცემლობა „სამშობლოს“ დაეფინანსებინა „ნიანგის“ რედაქცია, რომლის ბალანსზე ჟურნალი უიმისოდაც იმყოფებოდა. ასე, რომ, რეზოლუცია დარჩა მხოლოდ იმედად და რელიქვიად, რითაც ამაყობენ კიდეც „ნიანგის“ თანამშრომლები. „ნიანგი“ ისევ „ნიანგი“ იქნება! ჩვენ შევასრულებთ აღნიშნულ რეზოლუციას!

რედაქციამ შესაძლებელზე მეტი გააკეთა: საკუთარი ძალებით აღადგინა და გაარემონტა ფაქტიურად დანგრეული „ოფისი“, თითქმის მხოლოდ ენთუზიაზმზე დაფუძნებით გამოსცა რამდენიმე ნომერი, მაგრამ ყველაფერი ეს საკმარისი როდია. ცოტა წაშველება მოვითხოვეთ, მთლად სხვის კისერზე ყოფნა არც გვიფიქრია. იქნებ ერთხელ 10 ათასი ლარი მაინც მოეცა ფინანსთა სამინისტროს სესხად და, მოგების ბორბლის დატრიალების შემდეგ, ჩავასესხებდით ბატონო მინისტრო! თუ გული გულობს არც ახლა არის გვიან!

რაკი გულზე და გულიანობაზე ჩამოვარდა სიტყვა, „ნიანგს“ სურვილი გაუჩნდა მადლობა უთხრას გამომცემლობა „სამშობლოს“ დირექტორს, ბატონ **ჯემალ ქარაზანიშვილს** თანადგომისა და გაგებისათვის, წარსულის დამახსოვრებისათვის და მომავლის კარგად დანახვისათვის. (უნდა აღინიშნოს, რომ „ნიანგის“ რედაქცია თავისი არსებობის მანძილზე წელიწადში 360 ათას მანეთ მოგებას იძლეოდა, როდესაც ერთი დოლარი 70 კაპიკი ღირდა).

მტერ-მოყვარე ყველას ჰყავს და გამონაკლისი არც „ნიანგის“ რედაქციაა. აქაოდა, თავისუფლება მოგვანიჭესო და პურს ვენეროლოგები აცხობენ, ხაჭაპურს — გინოკოლოგები, სანტექნიკას რეჟისორები აკეთებენ, ნაყინს მასწავლებლები ყიდიან, ჯიხურში ყველა ვაჭრობს, განურჩევლად სქესისა და ასაკისა!.. ფსევდოიუმორისტებიც გამოჩნდნენ, ძალად ხუმარები, ბნელი აზრებით გარემოცულნი, „ნიანგის“ უშნოდ წამბაძველები, ვითარცა მაიმუნები. საკუთარი ძალისა და თავის სუბიექტურად შემფასებლები. ახალი პროფესიის გამომგონებლები-პროფესიონალი გრაფომანები.

1998 წლის 3 ივნისს ჟურნალ „ნიანგს“ გამოცემიდან 75 წელი შეუსრულდება. ქართველი ხალხი სავსეა იუმორით. ამას შეგრძნება და გამოქვეყნება უნდა. რაც უფრო მეტია გაჭირვება, მით უფრო მეტია იუმორი, განსაკუთრებით ანეკდოტები. მკითხველების კატეგორიული მოთხოვნაა ტრადიციულმა ჟურნალმა „ნიანგმა“ კვლავ დაიკავოს თავისი საპატიო ადგილი. 1923 წლის 3 ივნისის პირველი ნომრის მეორე გვერდზე ვკითხულობთ: **„... ნიანგს ეძლევა უფლება საქართველოს ყველა რეგიონში და ქალაქში გაისეირნოს, გაინავარდოს, ვინც უნდა, გააცინოს და ვინც უნდა, აატიროს; ამ დროს მას სრული უფლება აქვს, ვისაც უნდა, იმას უკბინოს, ან სრულებით შეაბრამუნოს“.**

ჰოდა, იმედია, ჟურნალი „ნიანგი“ მისი მამა-პაპის მიერ დატოვებულ ანდერძს არ დაივიწყებს და თქვენც შეგახსენებთ, დიდად პატივცემულო მკითხველო, რომ **„ნახევარი კაცია ის, ვისაც იუმორის გრძნობა არა აქვს!“** ამიტომ ამ ნახევარ კაცს, სხვა თუ არა, იმის გრძნობა მაინც უნდა ჰქონდეს, რომ იუმორის გრძნობა არა აქვს! არ უნდა დაგვავიწყდეს და დღენიადაგ უნდა გვახსოვდეს, რომ სიცილი კაცს კლავს კიდეც, იგი მძლავრი საბრძოლო იარაღია — მაცოცხლებელიცაა და მომაკვდინებელიც! **„ღიმილი წამალზე უკეთესია!“ „სიცილი ძლიერი ანტისტრესული ფაქტორია და ეკონომიკურ ეფექტსაც იძლევა!** — გვიმტკიცებენ მეცნიერები.

„ნიანგის“ სახელით — ჟანი სიხარულიძე

საქართველოს ეროვნული

მარად ცოცხალი მეშვიდეტომეთა

ეროვნული ბიბლიოთეკა

ქებათა-ქება

ვაჟა-ფშაველა

რედაქტორებით გაივსო
ეს ჩვენი დედა-ქალაქი.
მსურველიც კიდევ ბევრია,
ვით გაზაფხულზე ბალახი.
ყველას იშტა აქვს აღძრული,
რომ გადავიდეს მალაყი,
ოღონდ კი გამომცემელი
შეჰხვდეს, გადაჰკრას არაყი.
ხელისმომწერი თუმც არ ჰყავთ,
ჰფიქრობენ, მისცემთ ალლახი.
ვილვიძებთ, წინ მივისწრაფით,
დარწმუნებული ახლა კი:
მარსელიეზას მღეროდა
იმ დღეს მიხაკა დალაქი.

ჭკვიანს ჭკვას ალარ ჰკითხავენ,
მიტომ, რომ ყველა ჭკვიანობს:
დარბაზში ვინმე ბრძანდება,
თუ ქუჩა-ქუჩა ყიალობს.
დიაკვანს მღვდლობა სწადიან,
ურჩობს და ალარ დიაკვნობს,
ფრთებ-შეკვეცილი და კუტი,
შეხედეთ, როგორ ფრთიანობს!
ბრიყვი, უზრდელი მოვახშე
თავს გვიკრავს, თავაზიანობს.
მოდის ახალი დროება,
მოდის და ალარ გვიანობს.

მე დიაკვნების ჯავრი მაქვს, —
იმათ ქცევის და ზრიკისა:
რაკი დაჰხედეს დროებას,
ბოძები დასჭრეს „ფიცისა“,
ვინც მეღორედაც არ ვარგა,
დღეს ის ხუცესად მიდისა;
საით და როგორა ხდება,
ეს ყველამ კარგად იცისა.
რად ავიწყდებათ ანდაზა
დედის წინ მხტომის კვიცისა?!
ვინაც მოძმეთა ჰლალატობს,
შესაჭმელია მიწისა!

ცუდი დროება დაგვიდგა,
ძალიან ცუდი დარია:
თაგვები კატას არჩობენ,
ტურამ ლომს ხელი დაჰკრია.
ქორი დაქორჩრა ქათამმა,
ომი შაექნათ ცხარია.
სამგირო საქმეებს სჩადის
ინდაურების გვარია.
გალახეს, ჯვარზე გააკრეს
აზრი და სამართალია.
რიონი უკან გაბრუნდა,
იმას თან მიჰყვა მტკვარია,
აღარ სწადიანთ იდინონ,
ტალღები შედგა ჩქარია.

მცხეთას ატირდა არაგვი,
ცრემლები მოსდის ცხარია.
მხოლოდ არ სჯერა უბირსა,
რომ დიდი მოვა ღვარია,
დაგუბებული მდინარის
წამოსვლა შესაზარია!
ლობეს ავლებენ უბირნი,
რომ დაუკეტონ მსვლელობა;
შეუძლებელის შეძლება
არის იმათი ხელობა.

დღევანდელი დღის შვენება
ალაღებს მხოლოდ ვირებსა.
აღმოსავლეთით გვპირდება
მზე ისევ თავის სხივებსა.
იქითკე ცქერა მწადიან
გულ-მოკლულს, ანატირებსა,
იქ ვგუობ მხოლოდ წამალსა,
ის მომხსნის თავით ჭირებსა.
როგორც გუშინა, ისე დღეს
ვენაცვალები გმირებსა!
სალამს ვუგზავნი შორითა
იმ კარგს მამულისშვილებსა!

1906 წ.

შენს საცოლეს ტექნიკური დათვალიერება ჩატარებული აქვს?

ნახ. და თემა ვ. კუციასი

ტელევიზორთან გატარებული საღამო

სერიალი

მორიგი სერიალის მორიგი, 519-ე სერია

დადებით გმირს, სულ სიკვდილის პირას მყოფ ხორხეს, ახლა უკვე ვეღარაფერი გადაარჩენს!.. გამთენიისას, როგორც იქნა, ჩაძინებულს, თავს წაადგება მოსისხლე მტერი, თავიდან ბოლომდე უარყოფითი პერსონაჟი, ბოროტი, გათახსირებული და სისხლისმსმელი კაენარო.

კაენარო საბანს გადახდის ხორხეს, რომელსაც უმალვე ეღვიძება, მაგრამ ვერ ინძრევა, რადგან ყელთან ცივი და ბასრი ლითონის უსიამოვნო შეხებას გრძნობს. ბებუთი მარცხენა ხელში უპყრია კაენაროს (იგი ცაციაა), მარჯვენით კი ჩახმახშემართულ პისტოლეტს მიაბჯენს მარცხენა საფეთქელთან!..

კაენარო სატანურად იცინის და მხიარულად ამბობს:

„თქვენს სიცოცხლეს გაახანგრძლივებს მხოლოდ ნაღდი არაყი „საშა“, გერმანიიდან!..“

ინტერვიუ

თანამოაზრე ჟურნალისტის შეკითხვებს უპასუხებს ცნობილი ისტორიკოსი ვანლერ გახრიკიძე.

— ბატონო ვანლერ, ცოცხალია ბერია?

— ასიანი!..

— რამდენი წლისა გამოდის?

— ჰა, ჰა — ას წლამდე!.. არც კი!..

— ესე იგი, 53-ში ეგ არ დაუხვრეტიათ?

— ასეა, ბატონო, ეგ ვის დაახვრეტინებდა თავს, მაგის ჩიტი იყო?!..

— შვილები თუ დარჩა?

— შვილებიც და შვილიშვილებიც, ერთი შვილი ცირკის მსახიობისაგან, მეორე — ცნობილი მომღერლისაგან, მესამე — ბადროს მტყორცნელისაგან!.. გვარებს, გასაგები მიზეზების გამო, არ დავასახელებ!..

გახრიკიძე თვალს უკრავს ჟურნალისტს და ტელემაყურებელს.

— მაინც? — ჩაეძია ჟურნალისტი.

ცნობილი ისტორიკოსი, ვანლერ გახრიკიძე, პაუზის შემდეგ, ჯიბიდან იღებს „მარლბოროს“ კოლოფს, მაგიდაზე დაყირავებულად დებს და ამბობს:

— თუ გსურთ პრობლემები იოლად გადაწყვიტოთ და ცხოვრება სიამოვნებად გექცეთ, მოწიეთ მხოლოდ სიგარეტი „მარლბორო“!

რეკლამის მსხვერპლი

კომუნისტური ეპოქის ნოველები

პროცესია

კუკიის სასაფლაოს გვერდით შესასვლელთან, ტრასის მხარეს, ბალდახინი გაჩერდა.

გაჩერდა მოზრდილი პროცესიაც.

სასახლე ბალდახინიდან ვადმოიღეს და, ის იყო, ვიწრო შესასვლელში თავი შეაყოფინეს, რომ საიდანღაც მოვარდნენ შავკოსტუმიანი მუტრუკები და პროცესიას უკან დაახევინეს, შესასვლელიდან ოციოდ მეტრზე.

მალე გამოჩნდა გვირგვინებით მორთული ბალდახინი.

წინა პროცესიის მონაწილენი, მხარზე გადებული სასახლეთი, გაოგნებული მიჩერებოდნენ, როგორ გადმოიღეს ბალდახინიდან სასახლე, როგორ გაუტარეს ცხვირწინ და როგორ შედიოდა უზარმაზარი პროცესია ვიწრო შესასვლელში მთელი ნახევარ საათი.

ასაფლავებდნენ მაშინდელი მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის სიდედრის დას.

ფანჯრები

თბილისის ცენტრში, საკმაოდ პრესტიჟულ ადგილას, საკმაოდ პრესტიჟული კორპუსები აშენდა.

ბუნებრივია, ეზოებისთვის გათვლილი ტერიტორიის დეფიციტი საგრძნობი გახლდათ, მითუმეტეს, რომ მნიშვნელოვანი ნაწილი გარაჟებმა წაიღო.

გარაჟით ვის გააკვირვებ, მაგრამ ერთი კორპუსის მცხოვრებთა მიერ ჩამწკრივებულმა კოხტად შეღებილმა გარაჟებმა პარალელური ასეთივე მრავალსართულიანი კორპუსის მობინადრეთა აღშფოთება გამოიწვია.

„მათი გარაჟების შესასვლელი ჩვენი კორპუსის მხარესაა, — წერდნენ ისინი მაღალი ინსტანციისადმი გაგზავნილ საჩივარში, — მანქანების მთელი გამონაბოლქვი ჩვენკენ მოდის და გვშხამავს. კიდევ არაფერს ვიტყოდით, ჩვენი ფანჯრები რომ მათი გარაჟების მხარეს არ იყურებოდეს“ და ა. შ.

„მაღალმა“ ინსტანციამ საჩივარი დააწერა „შესაბამის“ ინსტანციას.

შედეგმაც არ დააყოვნა:

რათა მომჩივანი კორპუსის მობინადრეები სხვათა გარაჟების გამონაბოლქვით აღარ შეწუხებულიყვნენ, „სათანადო“ ინსტანციის ოპერატიული დადგენილების საფუძველზე სასწრაფოდ ამოქოლეს ყველა ფანჯარა, რომელიც გარაჟების მხარეს გამოდიოდა!..

გარაჟები ეკუთვნოდა „კგბ“-ს თანამშრომლებს.

ლერი ჩანტლაძე

ფრთხილად! ასპარეზზე გრაფომანია!

ეროვნული ბიბლიოთეკა

სტაჟიან ტელემაყურებელს კარგად ემახსოვრება სატირულ-იუმორისტული სატელევიზიო ჟურნალი „ოქროპირი“, ესოდენ პოპულარული 60-70-ან წლებში! დღეს ტელევიზიაში ისევ გაჩნდა მისი აღდგენის იდეა. ყველა გრძნობს, რომ ეს სახუმრო საქმე არ არის და ასე იოლად არ მოხერხდება.

ამ დროს ასპარეზზე გამოდის თვითმარქვია, ცრუ „ოქროპირი“, იმ ნაბეჭდი ჟურნალის პრეტენზიით, რომელსაც სურს ტრადიციული „ნიანგის“ ადგილი დაიმკვიდროს!

ღმერთმა ყველას ხელი მოუმართოს, ვისაც ხუმრობის მოთხოვნილება და, რაც მთავარია, ნიჭი აქვს, მაგრამ სხვისი ლანძღვა-გინებით და უგულებელყოფით ერის კულტურაში ჯერ ადგილი არავის დაუმკვიდრებია!

ცხადია, ამ „ჟურნალს“ არაფერი აქვს საერთო პოპულარულ ტელეჟურნალთან, ისევე, როგორც ტრადიციულ „ნიანგთან“! მით უფრო გასაკვირია, მისი ივანე-გამომცემელი მზის ქვეშ ადგილის დამკვიდრებას „ნიანგის“ ლანძღვით რომ იწყებს!..

ძნელბედობის წლებში „ნიანგიც“ ჩაიძირა და მოთმინებით ელოდა გამოდარებას!

„არ მომკვდარა, მხოლოდ სძინავს!..“

გახსოვდეთ, ჭიაღუებო, რომ მძინარე „ნიანგი“ მლვიძარ და აქტიურ ნეხვის ხოჭოებზე უფრო საშიშია!

კიდევ ერთი: „ნიანგი“ ისე არ დავარდება, ერთიორი ქვეწარმავალი არ წაეჭყლიტოს!

ნახ. და თემა მ. აბაშიძისა

დაიხსომე, ხვანჭკარის ფერხე დგახარ. ტიბაანის ფერხე მოეშზადები, მანაფის მწვანეზე წახვალ!

ნახ. და თემა ვ. კუციასი

ჯიჯოლოგი

— ბატონო ისიდორე, როგორ მოგწონთ საბაზრო ეკონომიკა?

— კაი, თუ ძმა ხარ! ბაზარში შესული კაცის ეკონომია გაგიგონია შენ?!

* * *

— ბონდოია, მანქანები ახლა თურმე ატომურ ენერგიაზე გადაჰყავთ და ბენზინი აღარ დაგჭირდება!

— ჩავესიძები, აბა, ჩერნობილში, მე რომ მეყოფა, იმდენი ქე დარჩებოდა!..

* * *

— რამ გაგაგიჟა, კაკოია, მართლა რუსი ოფიცრის გოგო მოგყავს ცოლად?!

— მევიყვან, აბა, რას ვიზამ?! „ბეტეერი“ მოყობა მზითევში, სალიარკაზე მუშაობს!

* * *

— დიდი რაოდენობით აღმოგაჩნდათ ორგანიზმში მარილი და შაქარი!

— გაგახარათ ღმერთმა, ექიმო! კარგად დაკვირდით, იქნება კარაქიც და კვერცხიც იყოს!

* * *

— რა გიხარია, ბონდოია, „ვოლგა“ ხომ არ მოიგე ლატარიაში?

— ვენაცვალე, ძმაო, „საქენერგოს“: წუხელ ყაჩაღები დამეცნენ და ვერაფრით უთო ვერ გაახურეს!..

* * *

— სად მიგყავს, სერაფიონ ეს ძაღლი?

— უნდა მოვკლა, სტუმარს უკბინა ფეხზე!..

— სწორად მოქცეულა! ამ გაჭირვებაში სტუმარი არ გამიგონია მე!

* * *

— ისევ იკეთებს მორფს შენი მეზობელი გრიშა?

— ახლა პირდაპირ ამპულებს ყლაპავს — შპრიცს ვერ ვენდობი, შიდსის მეშინიაო!

შეკრიბა შურმან მერკვილიშვილმა

ჟურნალი „ნიანგი“, № 3 (1893) ნოემბერი. 1996 წ. გამოდის 1923 წლის ივნისიდან.

მთავარი რედაქტორი
ზაურ ბოლქვაძე

მთავარი რედაქტორის მოადგილე, გენერალური დირექტორი
ბეჟან სიხარულიძე

პასუხისმგებელი მდივანი
ლერი ჩანტლაძე

სარედაქციო კოლეგია: **მურთაზ აბაშიძე, ჯემალ ლოლუა** (მხატვარ-რედაქტორი), **ნოდარ მალაზონია, რომან მიმინოშვილი, რევაზ მიშველაძე, ალექსანდრე სამსონია, გურამ ფანჯიკიძე, ჯემალ ქარაზანიშვილი, ჯანსულ ჩარკვიანი, თამაზ წივწივაძე, ალექსი ჭინჭარაული.**

ტექნიკური რედაქტორი
ვახტანგ დოხნაძე

გადაეცა ასაწყობად 23. 10. 96 წ., ხელმოწერილია დასაბეჭდად 14. 11. 96 წ., ფორმატი 60X90 1/8, ფიზიკური ნაბეჭდი ფურცელი 1, სააღრიცხვო-საგამომცემლო თაბახი 1. საქართველოს ჟურნალგაზეთების გამომცემლობა „სამშობლოს“ სტამბა. შეკვ. № 1888. ტირაჟი 3000. ჟურნალი გამოდის თვეში ორჯერ. ჟურნალი რეგისტრირებულია საქართველოს რესპუბლიკის იუსტიციის სამინისტროში. რეგისტრაციის № 0606.

რედაქციის მისამართი: 380008, თბილისი-8, რუსთაველის პრ. № 42.
ტელეფონები: 95 19 42; 93 49 32; 99 55 54.

ინდექსი 76187

ფასი 50 თეთრი

ეროვნული ბიბლიოთეკა

— ბატონო კაკო, ჩვენ საგადასახადო ინსპექციიდან გახლავართ: ტყის, ჰაერის და წყლის ფული გაქვთ გადასახდელი!

ნახ. ჯ. ლოლუასი, თემა შ. სი[illegible]ოიძისა